საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
Legal Entity Public Law
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**
**წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL**

ოქმი № 4 „26" 09 2022 წ

# დადგენილება № 15

**სასწავლო პროცესების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტის ბექა თათეშვილსათვის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოვალეობის შესრულების დაკისრებისა და დანამატის განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონი, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „პ" ქვეპუნქტის თანახმად,

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებულ სტრუქტურაში ცვლილებების შეტანამდე და შრომის უსაფრთხოების სამსახურის ჩამოყალიბებამდე, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოვალეობის შესრულება დაევალოს სასწავლო პროცესების მართვის განყოფილების უფროსს სპეციალისტს ბექა თათეშვილს რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების აკრედიტირებული პროგრამა და დამატებით შესრულებული საქმიანობისათვის განესაზღვროს დანამატი უფროსი სპეციალისტის სახელფასო სარგოს ნახევრის ოდენობით.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებას და განთავსდეს ვებ - გვერდზე.
4. საფუძველი: ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინება N1158024.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზაღიშვილის ქ. N62.

**წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფესორი** **ლავრენტი ჩიბურდანიძე**

რუსთაველის ქ. №113. 0800 ქ. ახალციხე, საქართველო
113, Rustaveli str., 0800 Akhaltsikhe, Georgia
ტელეფონი: 5(91) 411 288 Tel.